

რედაქცია

რედაქცია დასრულებულია და გამოდის ყოველ სამშაბათს. ლ. ჯაფარიძის ხელისა, № 2.

ხელის-მოწერა

„დროებას“ და „ივერიას“ რედაქციისა. ვარკეთილში. ვ. ტიფლისში, ვ. რედაქციისა. Дробა „Иверія“

„დროებას“—„ივერიას“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს.

„დროებას“ და „ივერიას“ ერთად. . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მან. . . 3 მან. . . 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსხვავებულია

დადი ასაკით ასაკზე 1 კობ., რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა.

რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა.

რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა. რედაქციისა.

1 ივლისიდან წლის დამლევადინ

დროება

ღირს სუთი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროებას“ და „ივერიას“ ერთად. . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მან. . . 3 მან. . . 2 მან.

ტელეგრაფები

(ხალხთა შორის საგანგებო)

ლონდონი, 11 ივლისს. აბდუ-რამანის ავღანის ემირად (ძთავრად) გამოაცხადეს.

ვენა, 11 ივლისს. თუ ოსმალეთის მთავრობა ან დათანხმდა უძთავრეს სასულთნოთაგან წინდგენილის საერთო ნაცის პირობებზე, ამ შემთხვევაში ამ სასულთნოთაგან დათავრებულნი სამხედრო ხომალდები უნდა გაგზავნონ ოსმალეთის ნაპირებზე. ამ წდგის დემონსტრაციას მიზნად ექნება საბერძნეთსა და ჩრდილოეთისა-თან მხარდგომის ოსმალეთი, სერბიის განდგინა მძიმე საფრთხეში.

ფელტონი

სამი კვირა კახეთში

(გაკვეთილი შენიშვნები მოგზაურისა)

I

თფილისიდან სიღნაღამდინ.

ბევრი ნაკლულევიანება აქვს ჩვენს ამ დროით განათლებულ ახალ-გაზღვრებს; ბევრი ისეთი ნაკლულევიანება, რომელიც უშლის მას თავის პირ-და-პირმოვალეობის—ხალხის წინ გაძლოლას ყველა საზოგადო საქმეში—კეთილად და რიგიანათ ასრულებას. არც ყმაწვილობითვე აღზრდილი და შემდეგ მიღებული განათლებით ის არ არის მომზადებული ხალხის სამსახურისათვის; იმას აკლია თავის კერძო პიროვნების დავიწყება, არა აქვს საკმაო თავგანწირულობა, არ აქვს ჯი-როვანი ცოდნა და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო შესამჩნევი ნაკლულევიანება ჩვენს ესრედ წოდებულის განათლებულის ახალ-გაზღვრებსა ის არის, რომ იმას ხალხის ცოდნა არა აქვს. მომეტებულ ნაწილს იმ

კაბარჯაშვილი, 12 ივლისს, ზეტუნ-ბურღში მოვიდა ოფიციალური ამბავი, რომ ჩინეთის ელჩი ცზუნგი შეძგებკვირის დამლევის მოგზა ზეტუნბურღში.

თფილისის პოლიციისათვის

ტფილისი, 14 ივლისს.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ერთი თფილისის მცხოვრების წერილი იმის თაობაზე, რომ პლექსანდროვის ბაღში არ გვიშვებენო, ვისაც წაღები არ გვცვია და საზოგადოთ სუფთად არა ვართ ჩაცმულიო.

ამ გვარივე საჩივარი აღრეც გვესმოდა. და ჩვენ გვეგონა, რომ ერთი მხოლოდ ამის გამოამკარავება და დაბეჭდვა საკმაო იყო, რომ ეს უაზრო განკარგულება ჩვენის პოლიციისა მოსპობილიყო. მაგრამ, როგორც სჩანს, ასე ადვილი არ ყოფილა თუნდაც უაზრო განკარგულების მოსპობა... უნდა კიდევ ამ გვარივე საჩივრები და უკმაყოფილება გვესმის.

მასაკვირველია, დემრთმანი, რით ხელმძღვანელობს ჩვენი პოლიცია, როცა ამ გვარ განკარგულებას ახდენს ხოლმე? როგორც მოგვხსენებთ, პლექსანდროვის ბაღი ქალაქის

საკუთრებაა, მხოლოდ სახელმწიფო მონებათა მმართველობის გამგეობაშია. ბაღი იმისთვის არის გაკეთებული მიცვალებულის თ. ბარიათინსკისაგან, რომ ქალაქს სუფთა ჰაერი შეემატოს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს შეეძლოთ აქ ზაფხულობით სეირნობა, მოსვენება და წმინდა ჰაერის ყლაპვა.

თუ ეს ასეა, ვინ მისცა ჩვენს პოლიციას უფლება, რომ ქალაქის მცხოვრებლები წაღებიანებად და ჩუსტებიანებად გაჰყოს, ერთს ნება მისცეს ბაღში სეირნობისა და მეორეს ამავე ბაღის კარები დაუხშოს? ნუ თუ ქალაქის მცხოვრებლებს მართო ლიკის ჩეკმებიანები შეადგენენ, ნუ თუ მართო ამთ ეჭირებთ ბაღში დასვენება, სეირი და სუფთა ჰაერი, და ჩოხიანებსა და ჩუსტიანებს კი არა?

ან თუ არაფრის ერიდება პოლიციას, რატომ საქვიანოდ არ აცხადებს—ვისა აქვს ბაღში სიარულის უფლება და ვის არა? და ვისაც არ აძლევს ამ უფლებას, რატომ საფუძველსაც არ მოიყვანს, თუ რატომ არ აძლევს?

მაგრამ რა საფუძველი უნდა მოიყვანოს ამგვარის წარმოუდგენელის

და გაუგონარის განკარგულების გასამართლებელად!..

მეორე ამ გვარივე განკარგულება კიდევ ამ ჩვენის მხნე პოლიციისა:

მტკვარზედ, ხიღს ქვემოდამ, საცა ტივის ხეებს აწყობენ, არც იმ ადგილას და არც გაღმა ნაპირზე სალდათები კი თავისუფლად ბანაობენ წყალში და ისე ხალხს კი პოლიცია არვის ნებას არ აძლევს. რათა? რა მიზეზია? თუ სალდათებს აქვთ უფლება, ქალაქის მცხოვრებლებმა რაღა დააშავა? იქ ხომ ხალხი არ დაიარება, ქალების მორცხობა ხო არ იქნება შეურაცყოფილი, —მაშ რას მივაწეროთ პოლიციის ამგვარი სისასტიკე?

ამ სიტყვში, როდესაც კაცს სული უფუბდება, როდესაც ყველაზე უფრო საჭიროა სუფთა, გრილი ჰაერი და ბანაობა, ერთსაც და მეორესაც უკრძალვენ ხალხს, იმისთანა ხალხს, რომელსაც არც იმდენი შეძლება აქვს, რომ სოფელში წაივდეს და ჩოხილში მხარეთიძოზე წამოწვეს, რომელიც დილიდამ სალამოდინ მუშაობს ქალაქში, ოფელში იღვრება, რომელსაც არ შეუძლიან ფული მისცეს და ცივ აბანოში იბანოს, „დღეში“ მიიღოს და სხვ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თფილისის უმაღლესი ადმინისტრაცია ამ ლარიბ ხალხის შემაჯიწ-

პირთაგან, რომელნიც ან მწერლობენ, ან სხვა რაიმე საზოგადო, საერო საქმეს ჰკიდებენ ამ ქამად ჩვენში ხელს, ხალხში თითქმის სრულიად არ უცხოვრიათ და ამის გამო იმის ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას, იცნობენ ან სხვისი ნაწერით, ნაშრობით და გავრებით.

ლაშქდარან ქალაქებში, გამოამწყვედუ-ლან კაბინეთებში და იქილამ უქაღაგებენ ხალხს—ესა და ეს ცუდი ხასიათები და ჩვეულება გააქვთო, უნდა მიატოვოთო, ასე და ასე უნდა იცხოვროთო, ეს ახალი საქმე უნდა შემოიღოთო და სხვ. და სხვ.

რასაკვირველია, რომ ამ გვარი ქადაგება ყველაზე უფრო ხშირად „ხმად უღაბნოში მღალადებელად“ რჩება; და, თუმცა ამაში თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან არ იცნობენ ხალხსა და არ იციან—როგორ და რა უქადაგონ იმას, რა აქვს და რა აკლია, მაგრამ ხალხს კი ამტყუენებენ:

—სამინელი ხეპრე, ტინ-მძიმე და გაუგებარი ხალხი არის ჩვენი ხალხი! ბრძანებენ ამ გვარი ვაჟ-ბატონები.—რაც უნდა კეთილი გინდოდეს ამათთვის, ვერ ჩაგონებ, ვერ დააყენებ რიგიან წარმატების გზაზედაო.

„ჩემი შენ გითხარო, გული მოგიკალიო!“ სწორეთ ამთი საქმეა:

თვითონ დამნაშავენი არიან და ბრალს კი ხალხს სდებენ...

ასე არ იქცევიან განათლებულ ქვეყნების ახალ-გაზღვრები: ბერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში მუდამ ზაფხულობით ხუთი, ექვსი, ათი ყმაწვილი, სტუდენტები გროვდებიან ერთად, ზურგზედ პატარა ბოღრას გადაიდებენ, ხელში დიდ ჯოხს დაიჭერენ და მთელი ზაფხულის (კანიკულების) განმავლობაში ქალაქილამ ქალაქში და სოფლით სოფელს დახეტიალობენ, მოგზაურობენ და ამ მოგზაურობაში ერთს ზაფხულს ერთს მხარეს გაიცილობენ თავის სამშობლო ქვეყნისას, მეორე წელიწადს მეორეს, და ამნაირად, როცა სწავლას ათავენ და ცხოვრებას იწყებენ, საზოგადო ასპარეზზე გამოდიან, ცოტათ თუ ბევრად იცნობენ იმ ხალხს, რომელსაც უნდა ემსახურონ, იმ ქვეყანას, სადაც უნდა იმოქმედონ.

ამიტომაც არის, რომ ამთ საზოგადო მოქმედებას უფრო მომეტებულნი ნაყოფი და სიკეთე მოაქვს ხალხისთვის, ვიდრე ჩვენი განათლებულებისა და მოწინავე პირების მშრალი, ხშირად უადგილო ქადაგებას.

სხვათა-შორის ეს იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ მე, ამ სტრიქონების დამ-

წერი, დავიძერ ალაგიდამ და ძახეთის სანახავად წავეღო...

მეორე მიზეზიც კიდევ ის იყო, რომ ჩემი ახლო ნაცნობებისა და მეგობრებისაგან მუდამ მესმოდა ხოლმე:

—წადი ძახეთში! ნახე რა მშვენიერი ქვეყანაა!

მეც, ჩავედღე—ხელში თუ არა თავის უფალი ორიოდე კვირა, ავალირე თავი და ბევრ მოუზნადებელად, გავლილ ივნისის 18-ს, დავადეგი გზას.

ბევრი ცუდი რამ გამეგონა ძახეთის ფაჩტის სტანციებზე. — აწვალევენ ხალხსაო, ცხენებს არ იძლევიანო, თფილისიდან სიღნაღამდინ, ერთის დღის გზას, ხშირად ორ-სამ დღეს და ხან ერთ კვირასაც უნდებიანო, ბინძური სტანციებიო, უჩხუბრად და უდავიდარაბოდ გზაზე თითქმის ვერაგინ გარდარჩებო და სხვ. და სხვ.

მაგეგონა, მაგრამ მართალი გითხრათ, ნახევარიც არ მჯეროდა; ადამიანმა ყოველივე პატარა საქმის გახეილება იცის-მეთქი, ვფიქრობდი, და ამ ფიქრით ვაიმედებდი ჩემს თავს. საუბედუროთ, მალე დავრწმუნდი, რომ ამ გვარი გაკილვა სიღნაღის



როგორღე და შემაწუხებელს განკარგულებას პოლიციისას მიაქცევს ყურადღებასა და დროზედ მოსაზრს ამ განკარგულებას...

ახალი ამბები

დღეს, ორშაბათს საღამოს, ძალაქის რჩევას აქვს არა ჩვეულებრივი სხდომა იმ საგნის თაობაზედ, რომ ძალაქის მამგობამ რკინის გზის სტანციასზე პურის ვაჭრობა აღკრძალა და მთელი სის ლუბერნატორმა კი ნება-რთვა მისცა ამ ვაჭრობისა. ძალაქის მამგობას ეს განკარგულება ბ. ლუბერნატორისა უკანონოთ მიიჩნია და ამის თაობაზედ სთხოვს რჩევას თავის აზრსა და გარდაწყვეტილების მიღებას.

ხვალ დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში თუ რას გადაწყვეტს დღეს ძალაქის რჩევა.

\*\*\*

ბავლილ აპრილში თუ მისში ძალაქის რჩევამ გარდაწყვიტა, რომ შუა-ბაზრის ქუჩაზე მოსსეს მაგიერად ქვა-ფენილი იყოს გაკეთებული, რადგან აქ დაბალი ღუმელები არის და ხელოსანი ხალხი მოსსეს მტვერისაგან თვალის ტკივილით ხდება ავათაო.

ეს გარდაწყვეტილება რჩევისა ამ ქამად თითქმის სისრულეშია მოყვანილი, და უნდა ვსთქვათ, რომ ეს ქუჩა, მართლა, კარგათ არის გაკეთებული; ქვები ახლო ახლოს არის ერთმანეთზე, ზემოთ წვეტები მოტეხილი აქვსთ ასე, რომ ჩვენი ქალაქის სხვა ქვა-ფენილსავეთ აქ ტალახი ვერ ჩადგება და არც ისე გაუძნელდება კაცს სიარული. სასურველია, როდესაც სხვა

ქუჩებს რემონტს უზმენ, ამ გვარივე ქვა-ფენილი გააკეთონ ყოველგან. მართალია, ცოტა უფრო ძვირად დაჯდება, მაგრამ მაგიერად სიარული მაინც შეიძლება ამ გვარს ქუჩაზე და არც ისე ხშირად გაფუტდება, როგორც ახლანდელი ჩვენი ქვა-ფენილები ფუტლებიან ხოლმე.

\*\*\*

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი წიგნის დაბეჭდვას გაზეთში:

„ბ. რედაქტორო! ღაგინსენით ამ გაჭირებისაგან. ბაღში ვერ გაგვივლია. აქაო და რატომ კარგი კაბა და პოლსაპოშკები არ გაცვიოა, მკრა ხელი ვილაქ ქართულ დესიატნიკა (რომელმანც რუსული არ იცის, მაგრამ ქართულად ხმა არ გამცა), „პაშოლო“ დამიყვირა და კინალამ ბაღის კარებთან კისერი მომატეხინა.

„მს სადაურა, თქვენი ჭირიმეთ! დედა-კაცი ძალაქში დავბერებულვარ და ამისთანა ამბავს არ მოვსწრებდვარ. მუდამ დღე საქმეზე დავიარები ძუკიაში, ერთი ღარიბი წვრილ-შვილის პატრონი ქვირე-ოხერი ვარ, ამ სიცხეში როგორ აუარო ვარს ბაღსა, ან პოლსაპოშკებისა და საძუიანი კაბების შექმნება ვინ მომიცა!

„ბთხოვთ, ბატონო, ეს გამოაცხადოთ თქვენ საპატიო გაზეთში, იქნება ჩვენისთანა გაჭირებულებებს რამე შედავათი მიეცესთ...“

\*\*\*

ბორილამ გვწერენ, რომ ბორის ბორანზე (პარომზე) ხშირად უწყობა ხდება და მებორნებზე განსაკუთრებით გლყნებს აწუხებენო. ამ დღეებში, სხვათა შორის, ერთს მეურმეს ურემი უნდა გაეყვანა ბო-

ტრაქტისა გაზვიადებული და გარდამეტებული კი არა, შემსუბუქებულიც ყოფილა.

პირველი სტანცია მთელი სიღრმის მტრის სტანცია არის. მტრის საათის განმავლობაში გვათრია ფოშტის ტროიკამ; ბევრი ვეხვეწე იამსიკს ხო ჰხედავ—რა სიცხე გვაჭერს, ცოტა დაუჩქარე-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ნელ-ნელ, ზოზინ-ზოზინით, ჩანჩალ-ჩანჩალით მიგვათრია მტრისგან.

— სტაროსტა სადარის? ცხენები, თუ შეიძლება! რასაკვირველია პირველი ჩემი სიტყვა ეს იყო, როდესაც ტროიკამ ჩამოვხტით.

ნამძინარევი ვილაქ გამოვიდა სტანციიდან, დაცინებით შემომხედა, პადაროქნა ჩამომართვა და ისევ გაბრუნდა.

— იქნება ცხენები, თუ არა?  
— ნიატუ! ლაკონიურად მომიჭრა, ზედაც არ შემამხედა.  
საქმე თან-და-თან უარესად მიდის.  
— ცხენები არა გყავთ?  
— მსტ და ნიატუ!  
ქველა უბედურებასთან გამოდგა, რომ ეს კაცი ვილაქ კრო თუ ყარა-ბახელი სომეხი ყოფილა, არც რუსუ-

ლი ესმის, არც ქართული. ბოლოს რის-ვაი-ვაგლახით გავიგეთ, რომ ცხენები არისო, მაგრამ ექვსი საათი შესვენება ეჭირება, ახალი დებულობა გამოვიდაო, და ამის გამო ახალ-დაბრუნებულ ცხენებს ვერ შეუბამო-სტანციის სმოტრიტელი მოვიკითხეთ, — ძალაქში წავიდაო. სტაროსტაც ვაზიაში არისო. ღვეტრებში არაფრის გაგება არ შეიძლება. ყველა გამგლეგ-გამომგლეგლს უწერია და ვერ მიხედები—უნდა იყოს ცხენი თუ არა. მართის სიტყვით, ბევრი ვიტრიალე, ბევრი ვეცადე, მაგრამ არა გამოვიდარა. ექვსი საათი უნდა მოიცადო და იქნება მაშინ იქმნეს ცხენებიო, ისიც თუ კურიერი ან სახელმწიფო პადაროქნით არავინ გამოჩნდაო.

ძარგი იმედა! მოიცადე და ისიც სად: ამ ბინძურ სტანციაში, სადაც ყველაფერი აყროლებულია, ყველაფერზე მტვერი და ტალახია, სადაც, სხვა და სხვა მკებნარების მიშით, ტახტზედაც ვერ დამჯდარხარო! არც სოფელი, არც შესახედავი რამე, სტანცია შუა უდაბნოში. მაგანება სიცხე. მაგრამ რას იქ, მეტი რა ღონია! რაც უნდა ბევრი იხტუნო, წელს ზვეით ვერ შეხტები! ძალა-უნებურად დავიკრიბე გულს ხელი და „გუსტი ზღვის პირას ამინდს“.

რანით მტკვარზე, თორმეტი კაბ. უნდა მიეცა, მაგრამ ორი შაურის მეტი არ ჰქონდაო. ზღვები ვეხვეწე-ბოდა, მაგრამ არ შეიწყნარეს, ბევრიც სცემეს, ცხვირ-პირიდან სისხლი აღინეს და ისე გამოისტუმრესო.

\*\*\*

სიღნაღილამ გვაცნობებენ, ვითომც ადგილობრივ ადმინისტრაციას (პრისტავს) გამოეცხადებინოს იმ დედა-კაცებისთვის, რომელთაც ახლო-მახლო სოფლებიდან გამომცხვარი პური შემოაქვთ ქალაქში გასასყიდლად, რომ დღეის შემდეგ აღარ გაბედოთ პურის შემოტანა და გაყიდვა ქალაქშიო.

მუ ჩვენის კორესპონდენტის სიტყვა მართალია, ეს გარემოება უეჭველია პურის სიძვირეს გააჩენს სიღნაღში, რადგან, რამდენათაც ჩვენ ვიცით, მთელს სიღნაღში ერთი ფურის მეტი არ არის და ისიც სოფლიდან შემოტანილს პურზე ერთი-ორად უფრო ძვირად ჰყიდის ხოლმე პურს.

\*\*\*

ძასპილამ გვწერენ: „ღაღა მკათათე; მაგრამ რა უნდა მომკოს ჩვენი მხრის საწყალმა გლეხმა?! ღაუკრეფა გულ-ხელი და თავ-ჩაღუნული მწარე სევდით მოკული უმზერს თავის ნაშრომს ყანას. მართლაცა და როგორ დალონებული არ უნდა იყოს გლეხი, როდესაც ჰხედავს ასეთ მდგომარეობაში, სრულებით აოხრებულს იძას, რითაც შეეძლო სახლობის რჩენა, მღვდლის გაძღობა და ხელმწიფესთან არა პირშეათ ვამოსვლა.“

„რომ ნახოთ, მგონი ატირდებით ამ გვარის აოხრებით ამ უწყალო მტრის კალიისაგან, და გლეხს როგორ არ ამოუჯდეს გული!“

საჩივრის წიგნი მოვითხოვე. სულ საცხა საჩივრებით. მაგრამ დავთრიდამ არა სჩანს—ერთი ამ საჩივართგანი დაკმაყოფილებულია, თუ არა. ძრუამ მასხარათ აიგდო ეს წიგნი და ჩემი ჩივილი:

— შიში, ფიში! ნიხავო ნი ბუდით! მნოგო ვიდალ! ნი ბაიშია!

შვიდი საათის დაყოვნების შემდეგ, ბოლოს როგორც იყო მოგვხედა დმერთმა და ერთი რაღაც ჯაგლაგი, გვერდებ ჩამომხმარო, დამშეული ცხენები შეგვიბეს და გავისტუმრეს მაზიანისაკენ.

\*\*\*

ღილას აღრიანად მთელი სიღრმის წამოხლომა რის ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით საღამოს მეექვსე საათზე მივაწიე მაზიანში, ე. ი. ოც-და-ათ ვერსამდინ გავიარე.

აქ გამომიცხადეს, რომ დენერალის ბრ. ტ—ის ცოლის-დას მოველით, მოწერილობა გვაქვს, რომ ორი ტროიკა იმისთვის უნდა შეიწინაბოთო ასე, რომ ამაღამ რო აქ მოისვენებდეთ, კარგი იქნებაო, ხვალ გავისტუმრებთო!

მსეც კიდევ ახალი სასიამოვნო ამბავი!.. მაგრამ აქ ღამის გათევა ისე არ

„ბევრისაგან ბევრი მსეც ვაჭყუტა ამ უწყალო კალიამ ეს ზაფხულის, როგორც უჩანდა პირი წლივანდელს მოსაველს, უნდა გამოსულიყო ასი და ოთხმოც კოღზე ნაკლები კი აღარა, დიდი ბედნიერებაა რომ გამოვიდეს ერთი ან კოღ ნახევარი პური. აბა წარმოიდგინეთ ახლა ამ კაცის მდგომარეობა! წლივანდელი მოსავალი კი გვიქადიდა სამის წლის ნაკლულეგანების შეგსებას! მსეც ესე ჩაიფარცხა და მტყუანმა იმედმა ხელახლად მოგვატყუა.“

„მაგრამ ეს ამელოვნებს ჩვენს გლეხს, რომ მართო ეს ლებურის ხეობა მოქამა თავის მინდვრებით და სხვაგან იშოვის პურს სათესლეთაც და საჭმელეთაც. მეორე ის, რომ ვალია ნელ-ნელა იქლიტება თავის-თავად; რო ჰვებლავენ დედალ კალიებს უჩნდებოთ თავში თეთრი პატარა მატლი, რომელიც ამბობენ, უჭამს კვერცხებს, ჰკლავს კალიას და ბოლოს თითონაც ჰკვდება. მე არა მჯეროდა ეს, როდესაც მითხრის, მაგრამ დავიჭირე ათმდისინ დედალი კალია, გავეშინჯე და ნამდვილი გამოდგა.“

„მს ასეა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეხლა „კაც-კალიები“ გამრავლდნენ ჩვენში: მთელი ხეობის მცხოვრებთ იციან, რომ ამ ხეობას ახდენენ ლუა ოსის ბიჭები და ერთიც კოჭლი სინო. სხვა არაფინ. მაგრამ ესენი ჯერ ვერ დაუჭერიათ...“

მეწყინა, როგორც მტრისგან ექვსი საათის მოკლა. აქ სტანციაზე მაინც უფრო სუფთაობაა, დასაღვე წყალს მაინც იშოვის კაცი და ამას გარდა ამ დროს აქ ათასზე მეტი კალიის მუშა იყო, მთელი სის და მთელის მახრებიდან გამოყვანილი გლეხები. ამათ დასახედავთ აქ მოსულიყვნენ ბ. მთლისის ლუბერნატორი და მთლისისეც და მთელის მახრის უფროსები. მართის სიტყვით, რასმეს მაინც ვნახავდი და გავიგონებდი...

წახე და გავიგონე შემდეგი: ნახევარზე მეტი ამ მუშებისა (მთ. მახრის) თითქმის ორი თვეა, რაც გამოყვანილი ყოფილან კალიის სხოცავად. მაგრამ უკმაყოფილება და სამღურავი არ ისმოდა, რადგან თავის თვალით ხედავდნენ და გრძობდნენ იმ სარგებლობას, რომელიც იმათ მუშაობას მოჰქონდა. იმ დროს კალია „მიწურულში“ იყო; აქა-იქ თუ მოინახებოდა კიდევ, თორემ უმთავრესი ბუდე ხალხს გაეწყვიტა და ამ ნაირად თავის ჭირნახული გადაერჩინა ამ საძაველ მტრისაგან. მაგიერად უკმაყოფილება ისმოდა პურზედ. სამი გირვანქა და ერთი მეოთხედი უნდა გვეძლეოდესო. მაგომცხვარს გვაძლევენ, სამ გირვანქა-

წერილი რედაქტორთან

უსკოეთი

**წერილი ამავეს. თან-და-თან** უფრო თამამდებიან აგსტრის ქვეშე-გრდომნი მცირე ტომები და, რაც დრო გადის, უფრო მეტის გულ-ახ-დილობით და გადაჭრილად თხოუ-ლობენ თავიანთ გვარტომობისათვის წინაღ დაკარგულ უფლებათა. ამ ერთობდენ თვის წინაღ, მკითხველმაცის რომ ჩვენებმა ითხოვეს და კიდევაც შემოაღებინეს აგსტრის მმართველობას ჩხუბი ენა ბოჰემის საგან-მგეო დაწესებულებებში სახმარებლად. ახლა ამავე ჩვენებს აღუძრავთ სასწავ-ლებლებში სწავლისათვის სახმარებელი ენის თაობაზედ გაცხარებული ბაასი. ჩვენებს პოლაკები და იტალი-ელიც აპყობიან, შალიციის ერო-ბის სკოლათა რჩევას და სახალხო სა-მინისტროს დაუწესებიათ, ბროდში ახლად დაარსებულ სკოლებში სწავ-ლა აღგილობრივ ენაზედ იყოს და არა ნემეცურზეო. ტრინტის ოლქის სასამართლოს გამოუცხადებია, რომ აქ ნემეცური სახალხო ენა არ არი-სო.

ჭენრი რომაორს ახალი გაზეთი გამოუცია პარიჟში სახელად „შეური-გებელი“ (*V Intrasiégeant*), რომელიც პირველ დღესვე გაყიდულა 139,000 ეგზემპლარით. ამ გაზეთში რომაორი ამბობს, რომ რესპუბლი-კა უმთავრესად მამბეტისაგან უნდა მოელოდეს საფრთხესო. თავის გაზე-თის თანამშრომლად რომაორს მო-უწვევია ნემეცი — სოციალისტი ჰეს-სხელომანი და რუსი სოციალისტი ჰარტმანი.

სათვის, რომ კალია ღეთისაგან მოე-ლენილი უბედურებაა და იმისაგან განთავისუფლება არ შეიძლებაო, დი-დი და დიდი მადლობა ეკუთვნის ობი-ლისის გუბერნატორს, რომელიც შე-უსვენებელად, ენერგიულად და პა-ტიოსნად მოქმედებდა ამ საქმეში... მართა იმის ჩინოვნიკმა დამარწმუნა, რომ მართლში, შარაიზზე და ძახეთ-ში მიმოვლის დროს ხანდის-ხან მთე-ლის კვირის განმავლობაში დილი-დამ სალამოძინ უზანგიდამ ფეხი არ ჩამოგვიდგამსო! **დაგვიქანცაო!**

მეორე დილას მახიანს გამოვეთ-ხოვე და შუადღისას ახამბურის სტან-ციამდინ მივაღწიე. აქაც ისევ ის ჩვე-ულდებრივი მკვახე სიტყვა: ცხენები არ გახლავთ! თვითონ ამ სტანციების (ობილისიდან სილნალამდი) მეიჯა-რადლის მიწოვევის ძმის-წული იყო აქ, მივმართე იმას, და შემდეგის სიტ-ყვებით მანუგემა:

— თქვენ კერძო პადაროჭნა გაქვთ, ცხენები ხვალამდინ არ იქნებათქვენ-თვის და შეიძლება რომ ვერც ხვალ წაბრძანდეთ. **ზასაკვირველია, მართლა, ამ ტრაქ-ტის საქმე. მთელი ქვეყანა სჩივის; ერთს არ გაუელია, მგონი, ამ გზა-**

საფრანგეთის კომუნარების ორი გაზეთი მოქალაქე (*Citayen*) და ლა-ტაკი (*Prolétaire*) სამასხოდ იგდე-ბენ ბასტილის აღების და დაქცევის დღის სახსოვრად საგვარ-ტომო დღე-სასწაულს და ამბობენ, „ჯერ კიდევ ბევრი დასაქცევი ბასტილები არიან დაუქცევლნიო.“

ფრანკულს გაზეთს „*Temps*“-ში რომაორის პარიჟში მისვლის თაო-ბაზედ ვკითხულობთ შემდეგ ამ-ბავს:

„რომაორის მოსვლის დღეს, რომელიც გაზეთებში იყო გამოცხადებუ-ლი, დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა ლი-ონის რკინის გზის სტანციანზე.

„ხუთ საათზე და 40 მინუტზე მო-ვიდა რკინის გზა. ხალხმა ერთხმად შექა ყვირილი: — „ზაუმარჯოს რომაორს! ზაუმარჯოს ამნისტიას! ზაუმარჯოს რესპუბლიკას!“ რომაო-რი ჩამოვიდა ვაგონიდან და გადაკოც-ნა თავისი შეილები, რომლებიც იქ დაუხვდნენ. შანგარიშო მეგობრები შემოეხვივნენ მას გარშემო და ულო-ცავდნენ. ხალხი თან-და-თან მატუ-ლობდა. შეველა ცდილობდა მოახ-ლოვებოდა და ერთმანერთს აწვებო-დნენ. ბოლოს თავისი მეგობრების შემწეობით სტანციიდან გამოვიდა კარში.

„ათის წლის განმავლობაში რომა-ორი ძალიან გამოცდილია. იმისი გამხდარი და დამცინავი სახე შეცე-ლილია, წლოვანებას თმა გაუთეთრე-ბია, სისუქნეს მოუგეალებია მისი გრძელი პირი-სახე და დაურბილებია სახის გამომეტყველება.

„ლიტერეს ერთი დამტყრეული ერთ-ცხენიანი ფაეტონი, ჩასხდნენ შიგ რომაორის ქალი და ორი სხვა მე-

ზედ (გარდა ღენერლებისა), რომ სა-ჩივარი არ ჩაუწეროს დავთარში; დღე არ გაივლის ისე, რომ, ორი-სამი ცე-მა-ტყუბა არ მოხდეს; ყველა უკმაყო-ფილოა, მაგრამ ამ საზოგადო ჩივილს და უკმაყოფილებას კაცი ყურადღებას არ აქცევს, არაფერ „ინუმში“ არ იგდებს.

„ბევრი გვინახავს თქვენსთანა მოჩივარი! ბევრი საჩივრები ჩაუწე-რიათ ჩვენს წიგნებშიო, არ გვემი-ნიანო, „ჩინავო ნიბუდითო!“

რისი ან ვისი იმედი აქვთ მათ, ნე-ტავი ვიციოდე? მინ უჭერს მხარს, რომ ასე თამამად ლანძღვენ და არა-ფრად აგდებენ მგზავრებს?

ობილისიდან სილნალამდინ თითო-ეულ სტანციანზე შედი-შეიდი ტროი-კაა. თითო ტროიკაში ორხვეისა და მახიანის სტანციანზე მეიჯარადრეს ხა-ზინა 720 მანეთს აძლევს წილიწადში და იაკებსა, ახამბორისა და სილნალის სტანციანზე კი თითო ტროიკაში 1200 მანეთს; ამას გარდა მოგზაურისაგან შემოსული პრავონის ფული ამავე, მეიჯარადრისაა. მე დამარწმუნეს, რომ ამ პრავონის ფულით თითქმის ყველა ხარჯს გამოდის მეიჯარადრე ბ. მირ-ზოვეიო და ხაზინიდან მიღებული სუფსილია ნალდ მოგებად რჩებაო.

გობარი, კუჩერთან დაჯდომილნი სანის“ რედაქციის სეკრეტარი შარ-ლი.

„ხალხი ვარს შემოერთყა და არ უშეგბდა ფაეტონს. ზოგიერთებს უნ-დოდათ გამოეხსნათ ცხენი და მხრე-ბით შეეყვანათ პარიჟში.

„ამ დროს ლოკროა გამოემცნაურა ხალხს და უთხრა: „გთხოვთ, მოქა-ლაქენო, მიეციოთ გზა, გაიაროს რომა-ორმა“. შეატონი გაექანა, ხალხი უკან მისდევდა „მარსელიეზის“ და სხვა რესპუბლიკური ლექსების სიმ-ღერთ.

„მთი კაცი, რომელსაც პატარა ყმაწვილი შეესვა მხრებზე, ყვიროდა: „გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუ-ციას!“ მეორე, რომელიც იმის გვერ-დით იდგა, ყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ — „არ უნდა!“ შა-სუხა პირველმა: „გაუმარჯოს სო-ციალურ რევოლიუციას!“

„სამი ათასი კაცი გამოჰყვა ლიო-ნის რკინის გზიდან და თან-და-თან ერთი-ორათ ემატებოდა. მეფაეტონე თავს აწონებდა თავის ამხანაგებს, რომ რომაორი მიჰყავდა.

„როცა მოვიდნენ რესპუბლიკის მადანზე, ერთი ახალგაზდა ბიჭი შეტბა ფაეტონზე, რესპუბლიკის ბაი-რალი ხელში ეჭირა და ყვიროდა: „გაუმარჯოს რომაორს! ზაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ამავს ყვიროდა ეს უანგარიშო ხალხი. რომაორი ჩა-მოხტა ერთ ყავახანასთან და შევიდა იქ თავის ამხანაგებით პურის საჭმე-ლათ.

„ამ არეულობაში ერთი პოლი-ციელი, რომელიც ცდილობდა მოე-შორებინა ხალხი რომაორისაგან, დაიჭრა. რომაორის ახალი გაზეთის რედაქციამ გაუგზავნა 100 ფრანკი შინაგანი საქმეების მინისტრს, რომ გადაეცა იმ პოლიციელისთვის.“

სტანციანზე კი დამშეული, ჯაგლაგი ცხენები ჰყავს და დაბრუნებულმა ცხენებმა ექვსი საათი უნდა მოისვენ-ნოს.

მგონია დროა, რომ ამ გარემოე-ბას, ამ უწყსოებას ფოჩტის მთავრო-ბამ შიქციოს ყურადღება.

რადგან ახამბურში გარდაწვევით მითხრეს, ცხენები თქვენთვის არ იქ-ნებოა, ამის გამო მოგზაურობისათვის სხვა ღონის-ძიებას შეგუდექი: ფურ-გუნი ვიქირავე, სილნალამდის ორ თუმნად, შეუდექი გზას.

თქვენ წარმოიდგინეთ იმ საშინელ სიციხეში ისიც ფურგუნით რა მშვენი-ერად, რა კომფორტით ვიმოგზავრებ-დი... მაგრამ ფოჩტის ტროიკებით მგზავრობას ისევ ფურგუნი მერჩია: ნელა, მაგრამ დაუყონებლივ და მშვი-დობიანად მაინც მივიდოდი.

სალამოს ჩაი სილნალის ქალაქში გიანგლით...

(გაგზქელქება)

ბ. რედაქტორო! თქვენი პატივცე-მული გაზეთის მე-142 ნომერში სხვა-თა შორის წავიკითხე აბაშის სტან-ციიდან გამოგზავნილი ამბავი, ვითომ რომდესაც ადგილობრივი მცხოვრებ-ლები საქონლის ჩასაბარებლად ან მისაღებად მიდიან სტანციანზედ, მე უხ-ვედებოდენ იმათ და ლანძღვას არ ვაკ-ლებდე.

ამაზედ ხმასაც არ ამოვიღებდი, თუ რომ ერთი იოტის ოდენა დანაშაუ-ლობა მქონოდა, მაგრამ რადგანაც სიკრუე მოუხსენებიათ, იძულებული ვარ მივმართო თქვენს პატივცემულს გაზეთს სიმართლის აღსადგენად.

ღიდათ მიკვირს — საიდგან-სად წარ-მოუდგენია ამ ამბის მომწერს ჩემი სახელი გასაკიცხად, რადგანაც ეს გა-რემოება მე სრულიად არ უნდა მე-ხებოდეს; ერთი ეს წარმოიდგინეთ, რომ სტანციანზედ მიდის კაცი საქონ-ლის მისაცემად ან გამოსატანად, მე რათ უნდა უხვედებოდენ სტანციანზედ ვისმეს. რადგანაც სტანციას ჰყავს თავისი უფროსი.

ამას გარდა მოხსენებულია, ვითომ გზაზედ მოსამსახურებისა არ მესმო-დეს-რა და ჩემი იმათ; სხვისი რა მოგახსენოთ და ჩემის მხრით კი ვიტყ-ვი, რომ როგორც ისინი, მეც მეგ-რელი ვარ და ჩემი სამშობლო ენა — ლაპარაკი სიყრმიდანვე ვიცი და არც არავისთვის არავითარი უკანონობა მიქნია.

პორრესპონდენტის სიკრუეს მკით-ხველი ამითაც მიხვდება, რომ ჩემი ვინაობა და თანამდებობა არ სკოდ-ნია.

აბაშის სტანციის დოკუმენტი მასტკური ანდრია ნახსია.

10-ს ივლისს.

საც არ აიწონსო და ისიც ალოა პური არისო.

მუშაობდა ხალხი რაც შეეძლო ერთგულად, გულ-მოდგინეთ. სიმღე-რითა და მხიარულებით. მტყობოდა კი, რომ ამ საშინელ გაგანება სიცი-ხეში ერთობ იქანცებოდნენ. აქვე, სტანციის მახლობლად, ხის კარავები გაეკეთებინათ, ღამე აქ ეძინათ; გა-თენებისას გადიოდნენ სამუშაოდ და-ლაშქრულზე ბრუნდებოდნენ და პურ-საც მაშინ აძლევდნენ.

თფილისისა და თელავის მაზრის უფროსების თხოვნით, ლუბერნატორ-მა ნახევარი მუშა-ხალხი დაითხოვა, რადგან შინ მუშაობის დრო არისო.

აქაც და შემდეგაც ძახეთში მოგ-ზაურობის დროს მე დავრწმუნდი, რომ ხალხი მართლა ძლიერ მადლი-ერია საზოგადოთ ადმინისტრაციისა, იქნება აქა-იქ ზოგიერთი ბოროტ-მოქმედება ჩაიღინეს ადმინისტრაციის წვრიმალ აგენტებმა; იქნება ხალხის გამოყვანისა და პურის დარიგების დროს, ზოგიერთები ურიგოთ იქცე-ვოდნენ; მაგრამ საზოგადოთ ხალხი კმაყოფილია: დავინახეთო, რომ კა-ლიის გაწყვეტა შესაძლებელი ყო-ფილაო.

ამ ცრუ-მორწმუნოების ამოფხვრი-



# განცხადებანი

**კონსტანტინეპოლში და მოსკოვში (საზრუნველო) ქართულს ენაზედ გამოცემულნი სახელმძღვანელო და სასარგებლო წიგნები**

მიღებულ იქმნენ და ისევე იქმნება შემდგომ ადგილებში, ყოველგან ერთს და იმავე ფასებათ.

**თვილისი** ინახებთან პატერ პავლე ძალიაჯოვთანა, ძათოლიკების მონასტერში და ისევე იქმნება ბ. ბ. პართანოვის და ჩარკვიანის წიგნების მალაზიებში.

**ქუთაისში**, ძათოლიკების სამრევლო სასწავლებელში და ბ. იოსებ მესარკოვის მალაზიაში.

**გორში**, ძათოლიკების მონასტერში.

**სახლცხეს**, ბ. ბ. ფერშალი მელქონ შავიასოვის სახლში და იაკობ შაფხოვის მალაზიაში.

ბი ეს წიგნები:

ა) „წინამძღვარი ზევისა“ გინა სულიერნი დარიგებანი ყოველი წოდების პირთა სახმარებლათა, შედგენილი თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჰოენლოსაგან, ფასი უკაზმით — 50—კაზ. ესევე კაზმით. — 70—კაზ.

ბ) „გზა ცხოვრებისა“ გინა განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარებლათ მღვდელთათვის საქადაგებლათა და ერის-კაცთათვის სულიერ საკითხავ წიგნათა იკიქრის ლოცვის შესასრულებლათა, შედგენილი ნეტარელისა ებისკოპოსისაგან ალფონსოლიგუორისა. ფასი უკაზმით. 1 მან. ესევე კაზმით 1 მ. 30—კაზ.

ბ) „სიბრძნე კაცობრივი“, რომელიც ასწავლის კაცსა ჭკუის რიგიანათ მოხმარებასა, სრულ კაცად გახდომასა, სათნოებათა და თანვე სიმდიდრეთა შეძენასა და მათის რიგიანათ მოხმარებას ცხოველი მავალითებითა და ბრძნული დარიგებებითა გამოჩენილთა ფილოსოფოსთა. ფასი უკაზმით 1 მ. ესევე კაზმით 1 მ. 20—კაზ.

დ) „ბრძენი კაცი“ გინა რომელიც სწავლანი სიბრძნესა და კეთილზნობასა ზედა, მოცემულნი ძველთა ფილოსოფოსთაგანა. ფასი უკაზმით 30 კაზ.

ე) „მოკლე ქართული დრამატისა“ დამატებით ღრამატისკული და ლოლიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი ადვილათ მისახვედნ მეთოდზე, სასოფლო შკოლებსათვის. ფასი უკაზ. 40 კაზ.

ვ) „მოკლე გეოგრაფია“ ფიზიკური, სამოქალაქო და ისტორიული; თანვე დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისა; სასოფლო და პირველდაწყებითი შკოლების ყრმათათვის. ფასი უკაზ. 50 კაზ.

ზ) „ყვავილების კანა“ გინა რჩეული ლექსები სახმარებლათ ახალგაზდა ყმაწვილთათვის, რომელშიდაც შეიცმიან დალექსილი ლოცვები და

სახლხო სამური ლექსები. ფასი უკაზ. 40 კაზ.

ს) „წმიდათა ცხოვრება“ გინა აღრჩევით შემოკრებილი ცხოვრებანი რომელთამე სახლხოთ ცნობილთა წმიდათა. ფასი უკაზ. 1 მან. 20 კაზ.

თ) „ეზობის ფილოსოფოსის იგაგნა“. ფასი უკაზ. 40 კაზ.

ი) ზოტრეტი წმ. ნინო ქალწულისა, განმადიდებელისა საქართველოს ერისა, ფასი, — — 20—კაზ.

ამათ გარდა იმავე ადგილებში ისევე იქმნება საქართველოს კათოლიკეთათვის სახმარებელი სულიერი წიგნები:

ა) „თანსაცანებელი ღოგის წიგნი“ რომელიც შეიცავს საყოველღვიო და წმიდა საიდუმლოების მიღებისათვის მოსამზადებლათ საჭირო ლოცვებსა, ფასი უკაზ. 1 მან. ესევე ხტიანის კაზმით 1 მ. 50—კაზ. —ესევე შაგრენის კაზმით, ოქროთი, მოჭრილი და მოვარაყებული 2 მან. 25 კაზ.

ბ) „წაღვრეტი ღოგათა“, რომელიც შეიცავს მრავალთა რჩეულთა და მხურვალე ლოცვათა, ფასი უკაზ. 80 კაზ. ესევე სახტიანის კაზმით 1 მ. 30 კაზ. ესევე შაგრუნის კაზმით ოქროთი მოჭრილი და მოვარაყებული 2 მან.

ბ) „საქრისტიანო მოძღვრება“, დიდი, წოდებული „მინ დაბადა“, რომელიც შეიცმიან ადვილად მისახვედნად და მოკლე განმარტებანი სარწმუნოების ნაწილთა, კეთილ-ზნობისა, საიდუმლოთა, ღვთისა და წმიდა ეკლესიის მცნებათა და ქრისტიანობრივთა მოვალეობათა; დამატებით საყოველღვიო ლოცვებისა და საუფლო ლოცვის განმარტებათა, ფასი უკაზ. 40 კაზ. ესევე კარდონის კაზმით 50 კაზ.

დ) „ზატარა საქრისტიანო მოძღვრება“, ქართული ანბანით და საყოველღვიო ლოცვებით წვრილ ყრმათათვის, ფასი უკაზმით 15 კაზ.

მსრევე მოკლე ხანში მიიღებანი ქართულათ დაბეჭდილი: ა) მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველობა; ბ) მოკლე შილოსოფია; გ) მოკლე მსოფლიო ისტორია; დ) შრანცუხული ენის ბრამატისკა მოლონდორფის მეთოდზე, ქართველთათვის ფრანციული ენის ადვილად შესასწავლებლად. ე) შრანციული ენის ლექსიკონი, ფრანციული სიტყვების ქართულად განმარტებით.

(3—1)

თავი შაჰარი ბროდსკისა 6 მან. 80 კაზ. ფუთი.

## თ. კეკელიძის სკოლა

პრწრუნის თეატრის ქვეშ ეზოში. იქვე ისევე ახლად მიღებული და ყველა უცხო ქვეყნებში ნაქები ლიონის მსხმცია; ერთი ფლაკო-

ნისაგან შეიძლება 75 სტაქანი ლიონიანი გაკეთდეს, ერთი სტაქანი ჩანისთვის ერთი მერვედი ჩანის კოვზი ესენცია საყოფია და აგრეთვე იხმარება საქმელში სიმჭავისათვის. შოველგარი სამზღვარ-გარეთის **სასამელი**, საუკეთესო იტალიანური სპიჩა, დიდრონი კარბკებით დუქინი 20 კ. ნუშის ხელის **საპონი**, რომელიც არბილებს კანს, პაპოვის ბანდროლით ჩანი და ჩვენი ფირმისა. შოველ გვარი **კონსერვი** და **კოლონიალი** **საქონელი**. პარტიით ისევე ფრანციული **ვაჰსი**.

(2—2)

სამაჰრო სახლი

## იაგ. კასუოვი და ახ.

ქუთაისის პაიშიკებს, შემოტანლებს (ეკლადიკებს) და საზოგადოთ ყველა ინტერესის მქონე პირთა, რომ რადგანაც საქმე მატულობს ამ სახლის მთავარი კანტორა ამ წლის 1 აგვისტოდამ გადიტანება ბ. ჯაყელის სახლის ზემო სართულში მანოვის ქუჩის და მრეწვის მოედანის კუთხეში. შულის გასასესებლად, გადასახადის და შემოსატანის მისაღებად კანტორა გაღებულია საქმის დღეებში დილის 9 საათიდან შუადღის 2-მდე, კვირაობით 8-დამ დილის 10 საათამდე.

იყიდის 1 და 2 შინაგან მოგებიანს სესხის ბილეთებს და თვითონვე ჰყიდის ამ გვარებს და ფასის გადახდას 12 თვით აღროვებს წვრილ-წვრილად შემოტანით. ბილეთის ამ ნაირად მყიდველს მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც მოსალოდნელია წლის განმავლობაში ერგოს 20 ბილეთებს, რომელიც მოხსენებულია ოთხის ტირაჟის მოწმებებში. იყიდის და გაჰყიდის კერძო პირთა მონდობილობით ყოველგვარ უძრავ ქონებას. მიიღებს საკომისიო და გასაყიდად: საქონელს და მასალას. ჰყიდის დაბეჭდილ პირობებს სახლის დათმობისაზე, დუქნების და ცარიელ ადგილების გაქირავებაზე.

შესანახავად შეტანილს ფულზე აძლევს პირობის გამოცვლამდის:

- 1) შენახვის ანგარიშით და მოთხოვნამდის — — — — 4 1/2%
- პირობით 4 1/2%
- 2) მალით შენახვად. 6 თვით 5 1/2%
- 9 თვით 6 1/2%
- 1 წლით 7 1/2%
- 1 1/2 წ. 8 1/2%
- 2 მეტ.წ. 9%

3) საგანგებო პირობით შესანახავად შემოტანილს ფულზე 1 ხარისხის პაიშიკებს ამხანაგობისას — — 9%

შექსილით ფულის გასესების დროს უწყებულ პირთა თავდებით ახდევინებს თვე-და-თვე გადასახ. სესხზე — 10% პვირ-კვირაობით — — 9% დაწვრილებითი ცნობა და ახსნა

მსურველთ შეუძლიან მიიღონ ყველ დღი კანტორის გამგესთან. (5—3)

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლქს მოვიდა ინგლისის მადანაში დად-მადლი ჩაი ზინდა-ზინდ ჰლანტატარებისაგან და ისევე: 1 მან. 10 კაზ., 1 მან. 20 კაზ., 1 მ. 40 კა., 1 მ. 60 კა., 1 მ. 80 კა. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირგანქა უქალღოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგვარად.

სად ანის ინგლისის მადანა? — ანწრუნის ქანგასლასში. (20—19)

## კანტორა

ოლქსის ვაჰრის

## იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდრეის პრესბექტი, ფიშენის სახლი)

ქვიდულაბს და ქვიდის, კომისიით ყოველ გვან საქონელსა.

აგენტურას სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წანამოდგენელია რუსის და სამ-შდვან განეთის ფანბიკებისა, ქანსებისა და სხვაგვარ სახლებისა.

აქვე ნანდათ ქვიდის და ქვიდულაბს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, სწვრნილ და კოლანიალურ საქონელს. (30—20)

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახუნავებით 2 მანეთიდან; სანძვე 30 კაზ.; რუქები 5 კა.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გვადრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლი სურს მალაზიაში. (100—22)

## შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისევეა, ამის განმე ინგლისის მალაზიაში ეს წამალი ახლად 2 მეთოდ დიდს. (100—17)